20/08/2026

სსკგ-ის თავმჯდომარე კერკირის მიტროპოლიტ ნეკტარიოსს შეხვდა



2026 წლის 18 აგვისტოს, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილებაში გაიმართა შეხვედრა სსკგ-ის თავმჯდომარეს, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ანტონისა და კერკირის, პაქსისისა და დიაპონტის კუნძულების მიტროპოლიტ ნეკტარიოსს შორის. იგი მოსკოვში წინადღით ჩამოვიდა ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის კერკირის სამიტროპოლიტოს დელეგაციის სათავეში. დელეგაცია თან ახლავს წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის წმინდა ნაწილს – მარჯვენა ხელს. ეს სიწმინდე რუსეთში ჩამობრძანებულია მორწმუნეთა თაყვანისცემისთვის.

სსკგ-ის თავმჯდომარემ თბილად მიიღო სტუმარი და მადლობა გადაუხადა იმ სულიერი სიხარულისთვის, რომელიც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეებს საბერძნეთის კუნძულ კორფუზე დაცულ ამ დიდ ქრისტიანულ სიწმინდესთან შეხვედრამ მოუტანა.

შეხვედრას ესწრებოდნენ შპს „რეგიონალური ენერგეტიკული კომპანიის“ დირექტორთა

საბჭოს თავმჯდომარე ა.ვ. კარმაკოვი; კერკირის მიტროპოლიტ ნეკტარიოსის თანაშემწე პ.ა. სპირიდონიდისი; ასევე საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თანამშრომლები: მღვდელმონოზონი მარკოზი (ახმეტხანოვი) და დიაკონი სერგი მონახოვი.

შეხვედრის დასასრულს, მისი მონაწილეები ემთხვივნენ წმინდა სპირიდონის მარჯვენას. მიტროპოლიტმა ანტონიმ გულთბილი მადლობა გადაუხადა მიტროპოლიტ ნეკტარიოსს სიწმინდის მობრძანებისთვის საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების კედლებში და წმინდა სპირიდონის ლოცვითი მეოხების იმედი გამოთქვა სსკგ-ის თანამშრომლებისთვის მათ საქმიანობაში.















mospat.ru/ge